

ილიასეული სიტყვახმარებისათვის*

I. (ბეჭის) ვარსკვლავი

შესიტყვება ბეჭის ვარსკვლავი ქეგლ-ში ასეა წარმოდგენილი: „ასტროლოგიურ შეხედულებებთან დაკავშირებული რწმენა (წარმოდგენა), თითქოს ადამიანის დაბადებასთან ერთად ინთება ხოლმე მისი ბეჭის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომელიც ადამიანის სიკვდილთან ერთად ქრება (ჩვეულებრივ იხმარება, როგორც პოეტური სახე)“. საილუსტრაციოდ დამზადებულია: „რად მრისხანებ, ჩემის ბეჭის ვარსკვლავო?“ (ნ. ბარათ.) და: „ვინა სთქვა საქართველოზე: „ეგ არის — ლომი კვდებაო, ჩაუხდა ბეჭის ვარსკვლავი, მალე მზეც გაუქრებაო?“ (ბაჩანა).

რწმენა-წარმოდგენა ბეჭის ვარსკვლავის შესახებ ძველთაძეველი ჩანს, — მამინდელი, როცა ადამიანი ციურ სხეულებს აღმეროებდა და მათზე ლოცულობდა.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ბეჭის ვარსკვლავი, როგორც პოეტური სახე, ძალიან ხშირად იხმარება. დავიმოწმებთ მხოლოდ ვაჟის და ილიას. ვაჟი კვირიას ათქმევინებს „ბახტრიონში“: „მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ, ბევრად სხობს, ვიყვნეო ცდაზედა, როცა დრო მოვა და... გაქრეს ბეჭის ვარსკვლავი ცაზედა, ცოცხალს კი უნდა ეხუროს ვაჟაცხა ქუდი თავზედა, სიცოცხლეს აუგიანსა სიკვდილი მიყბებს ხმილზედა“. „გამიქრა ბეჭის ჩემის ვარსკვლავი, კვლევ დამიობდა იბოლი თავი“ (ილია, I, 63,5); „სისხლი, ... სულ სისხლი პფარივს და პფარივს შენს წარსულ უამსა, შენ ბეჭის ვარსკვლავი!“ (იქვე, 317, 10).

სიტყვა „ვარსკვლავი“ „ბეჭის ვარსკვლავის“ მნიშვნელობით სხვა-გვარ კონტექსტშიაც იხმარება: „შორს მოზაფლის ვარსკვლავი თუმცა არის უხილვევი, მაგრამ ვგრძნობ, შეხვალ დიდს ზღვას და იქ ჩილუპავ

* შეკითხულია ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთვისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ შეცნიერებათა ეკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სესიაზე, 26.VI.87 წ.

ჩემს ნავს (ი. I, 74,10); „მე არა მიშავს-რა. იმისთანა ვარსკვლავზედა ვარ დაბადებული... მე, ბედ-ზავი“ (ი. III, 104,9); „მეწისქეილედ და-ბადებულიყო უცოლოდ, უშვილოდ, უთვისტომოდ. არავინ იციდა, ვინ არის და სიიდამ არის... იმისი ვარსკვლავი მარტო ამოსულიყო ხადგაც“ (ი. III, 85,27); „ჩემის ბნელის ცხოვრების გზაზედ ამის მეტი ვარსკვლავი არ ამოსულა“ (ი. II, 87,23); „დიდი რუსთველი ნაზად დამ-ღერდა მას, ვისთვისაც ხალხს გული უძეგრდა. იგი აძლევდა რუს-თვლისა ქნარსა იმ მშვენიერსა აღმაფრენასა, რომელიც ეხლა ქირთველ-სა უკვირს და რომელზედაც ხან ხარობს, ხან სტირს, როგორც გამ-ჭრალხა ოვის ვარსკლავზედა“ (ი. I, 319,29).

„ბედის ვარსკვლავი“, როგორც აღნიშნეთ, უძველესი რწმენის გადმონაშოთა. შესზე, კერძოდ, საუბარია ახალი აღთქმის შათეს წიგნ-ში. იქ იქსო ქრისტეს დაბადების ამბავი ისეა მოთხოვბილი:

2. „...ხოლო იესუ ქრისტეს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, და აპა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალემდ და იტყოდეს:

„სადა არს ახლად შობილი იგი მეფედ ჰურიათა? რამეთუ ვიხი-ლეთ ვარსკულავი მიხი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა.

3. ვითარცა ესმა ესე ჰეროდე მეფესა, ჟეძრწუნდა იგი და ყოველი იერუსალემი მის თანა.

4. და შეკრიბნა ყოველნი მღდელთ-მოძღვარნი და მწიგნობარნი ერისანი და პეითხვიდა მათ: „სადა შობად არს ქრისტე?“.

5. ხოლო მათ ჰრქუს: „ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრე წერილ არს წინასწარმეტყუელისა მიერ“.

6. „და შენ, ბეთლემ, ქუეყანად ეგე იუდაესი, არა სადა უმრწემეს ხაჩ მთავართა შორის იუდაესთა, რამეთუ შენგან განივიდეს მთავარი, რომელმან დამწესოს ერი ჩემი ხსრაელი“.

7. მაშინ ჰეროდე მოუწოდა მოგუთა მათ და გამოიყითხა მათგან უამი იგი გამოჩინებისამ მის ვარსკულავისათ.

8. და წარავლინა ბეთლემდ და ჰრქუა მათ: „მივედით და გამო-იყო(თ)ხეთ კეშმარიტად ყრმისა მისოვს და, რაჯამს პპოოთ, მითხარო მე, რათა მეცა მივიღე და თაყუანის-ესცე მას“.

9. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, წარვიდეს. და აპა ვარსკულავი იგი, რომელ იხილეს აღმოსავალით, წინა-უძღლოდა მათ, ვიღრემდე მი-ვიდა და დაიდგრა ადგილისა მას, ხადაცა იყო ყრმად იგი.

10. ხოლო მათ, ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სი-ხარულითა დიდითა ფრიად.

11. და მოვიდეს სახლისა მას და იხილეს ყრმად იგი მარიამის თანა, დედისა ოვსისა, და ღავარდეს და თაყუანის-სცეს მას; და აღ-

ღցես սագուստա մատու და შეწირյէ მისა ძლუენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური.

12. და მოიღეს ბრძანებად ჩუენებით ანგელოზისაგან, რამთა არა მიაციონ ჰეროდეს, არამედ სხვთ გზით წარვიდენ სოფლიად თვას.

13. და ვითარცა წარვიდეს იგინი მიყრ, და აპა ანგელოზი უფლისად გამოუჩნდა ხილვით იმსებს და პრეზუა: „ოლდეგ და წარიყვანე ყრმა ეგვ და დედა მაგისი და ივლტოდე ეგპტიდ და იყავ მუნ, ვიდრემდე გრძეუა შენ, რამეთუ ეგერა მოძიებად ვალს ჰეროდე და წარწყმელიად ყმასა მაგის.

14. ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმად იგი და დედა მისი ლაშე და წარვიდა ეგპტიდ და იყო მუნ, ვიდრე აღსრულებადმდე ჰეროდე [სა]“.

ამ თხრობაში ჩვენთვის მთავარია ის, რომ მოგვებმა, ანუ ვარსკვალავთმრიცხველებმა ოღმოსავლეთიდან ნახეს ქრისტეს „ბედის ვარსკვალი“, გაიგეს, რომ ჰურიათა ახალი მეუფე და მხსნელი ცოდვათა მათთაგან კაცთა მოდგმისა იესუ ქრისტე დაიბადა და, როცა მასთან თაყვანისცემად მიდიოდნენ, ვარსკვალავი გაუძღვა და მას მისდევდნენ.

დიდი ილია ბრწყინვალედ იცნობდა ორივე აღთქმის წიგნებს და არაერთხელ მიმართავდა მათ ციტირებისა თუ პერიტრაზირებისათვის.

ბიბლია ილიასთვის ნიადაგსაყითხავი წიგნია. აი, რას წერს იგი: „უმშევლია, ძლიერ გონიერიდ იქცევა ისა, ვინც მუდამ უამს კითხულობს საღმრთო წერილსა. იმის წამკითხავი ორნაირად არის სარგებლობაში, პირველად: შეისწავებს ლეთის კედრებასა და, რამდენადაც მომეტებულად კითხულობს, იმდენად მკვიდრად დაინერგება იმის გულში საწმუნოება ქრისტესი, და მეორედ: იქ შეხვდება მრავალ ქართულ სტუკისა, რომელიც ამ უამად ბევრნი მათგანნი აღარ იხმარებიან საერთო ლაპარატში და მაშინ, როდესაც საღმრთო წერილი გადმოუთარებნიათ ქართულად ბერძნულიდგან, ხეორებაში კოფილა“ (ი. III, 1986. გვ. 443). მათეს სახარებიდან ზემომყენილი ამბავი კი დიდ პოეტს გამოყენებული იქვა ლექსში „ქართვლის დედას“, რომელსაც, როგორც ცნობილია, ეპიგრაფად უძღვის ლაიბნიცისეული სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

ღევქში, როგორც ცნობილია, ნათევმია, რომ ძველი დიდება ქართველთა დაიმარხა, ყველაფერი გაქარწყლდა. შემდეგ მოსდევს სტროფები:

მას ნულარ კსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალს დროს ხელით დანოქმულა,
მიოველათ წარსულ ღრმებზედ დარღვა...
ჩერნ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვალავს,
ჩევნ უნდა ჩევნი ვშვათ შეოობადი,
ჩევნ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

პოეტის თვალწინ უდგას მარიამისგან ქრისტეს, მხსნელის დაბადება და და ასეთი მხსნელის შობას და ოღზრდას მოელის ქართვლის დელისაგან:

აქ არის, დედაგ, შენი მაღალი
დანიშნულება და წმინდა ვალი
აღზარდე შეილი, მიეც ძალა სული,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, —
შთავონებდე კაცთა სიყვარული,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიექითისოვის გრლი უთროდეს
და მომივლისთვის ბეჭთანა ბრძოლეს...
დედაგ! იმინე ქართვლის ვედრება,
ისე აღზარდე შენ შეილის სული,
რომ წინ გაუძლეს ჰერმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული

(ი. I, 195, გვ. 30—31).

დიდი მამულიშვილი ყველგან და ყველაფერში მამულის მხსნელს ეძებდა. ურთ-ერთ ლექსში („ქართველთაღმი“) პოეტი წერს რუსეთში ყოფნისას:

ჩვენი მშობელი ტკბილი მამული
ცხადიდ წინ მედგა ბეჭით მოკლელი
და ბერლ ლამეში ჩვენ დამხსნელ ვარსკვლავს
ჩვენ მამულზედა გხედავდი დამდგარს

(ი. I, 1951, გვ. 323).

აქაც ისევ ბეთლემის თავზე დამდგარი ვარსკვლავის ანალოგიაა უდავოდ.

აი, როგორ გულმხეურვალედ წერს ილია ქრისტეზე: „ჩვენ გვეს-მის და აღვილად გმოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარიან იქსო ქრის-ტეს შობის დღე, გვესმის, ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რის-თვის არის ყოველ-წლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის საღლესასწაულო დიდისა და პატარისათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მო-მნიშვებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მხსნელის სიყვარულისა, ღმერთი ნუგეშის-მცემელი უძლუ-რისა და უღონნისი, დავრღომილთა აღმიდგენელი, სნეულთა მაურვე-ბელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან იღიამღლა ლირსება და პატივი აღამიანისა იქამდე, სადამდინაც მისიდა მოსვლამდე ვერ მიმშვდარიყო აღამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა. „ვით მამა ზეცის, იყავ შენც სრულიო“, — უმოძღვრა კაცსა და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არის აღსვლად ღვთიერივ სისრულემდე. რაო-

დენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვაში, ლეონისა ბაგეთაგან წირმოთქმულში... იღვაწე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლია ახვიდე და მიაჩვიონ. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა აღამიანს არ გაეგონა და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ კოვალ-წლივ იქსო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვაღიდებო, ერთმანეთს სიხარულით ეულოცავ, ემხარულობთ და თვითოვეულის გული მოწყალებისათვის და მადლისათვის სძვრებს“ (ი. I, 1985, გვ. 338—339).

პოეტი დიმიტრი თავდადებულს ათქმევინებს სიკედილის წინ:

ლმერთო, ლმერთო!... ოვალწინ მიღდა
ჯიდ ტანკული მე ძე შენი...
ყოთ ძია ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი.

(ი. I, 1985, გვ. 209).

და ცხადია, სრულიადც არ არის შემთხვევითი, რომ დიდმა ილიამაც ქრისტესავით და დიმიტრი მეფესავით დადო თავი მამულის სამსხვერპლოზე.

II. ყიზილბაში

ქეგლ-ში ყიზილბაში ასეა იხსნილი: „(თურქ. კიზილ ბაშ „წითელი თავი“, „წითელქუდა“) სპარსელი დამპყრობლის მეტსახელი (XVI—XVIII სს.). პკრა ერთმა მოსახეპილმა ყმაწვილკაცმა ცხენს ქუსლი და ზედ მიაგდო ყიზილბაშს“ (ილია). „ჭერებივით ეყარა ჩახოცილი ყიზილბაში“ (ვ. ბარნ).“ სხვა ილუსტრაციები: „... თათარი, ყიზილბაში, ურია, ოსი, სომეხი, რუსები ხომ რაღა, ბუზსავით ირევიან“ (ილია, II, 228,24); „[მაიორმა] ეს ხეობა ყიზილბაშებზე უარესად აიკლო“ (მ. ჯავახ., არსენა, 348,34); „აღა-მაჰმად-ხან ყიზილბაშებით ასაოხრებლიად შემოპასევია“ (აქაი, II, 145,1).

ილიასეულ ერთ-ერთ გამონათქვამში ყიზილბაში ყალბი ქება-დიდების, პირმოთნეობის, მლიქვნელობის მოყვარულად გვევლინება: „... ქართულს ლიტერატურაში მწერალნი ერთმანეთს ქება-დიდებით იხსენიებენ, როგორც ყიზილბაში ჰავიებით“ (ილია, IX, 313,6).

ყ ი ზ ი ლ ბ ა შ თ ბ ა მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე ს ა უ კ უ ნ ე შ ი ს წ ი რ ე დ პ ი რ მ ი თ ნ ე ბ ი ს , მ ლ ი ქ ვ ნ ე ლ ი ბ ი ს , ო რ ი ს ი რ ი ბ ი ს , ყ ა ლ ბ ი ქ ე ბ ა - ლ ი დ ე ბ ი ს ს ი ნ ი ნ ი მ ა დ ი ხ მ ა რ ე ბ ი დ ა : ი ლ ი ა წ ე რ ს : „ა მ ა ს გ ა რ დ ა ჩ ვ ე ნ ს ა წ ყ ა ლ ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ს ე რ თ ი ს ხ ვ ა ს ა ძ ა გ ე ლ ი ს ე ნ ი ც გ ვ ე ი რ ს — ყ ი ზ ი ლ ბ ა შ თ ბ ა , გ უ ლ ი ს შ ე მ ა - ზ რ ჩ ე ნ ი , კ ა ც ი ს ღ ი რ ს ე ბ ი ს დ ა მ მ დ ა ბ ლ ე ბ ე ლ ი პ ი რ ფ ე რ ი ბ ა , უ რ ც ხ ვ ი ტ ყ უ ი ლ ი ქ ე ბ ა , ს ა ძ ა გ ე ლ ი კ ლ ა ვ ე ნ ა დ ა პ ი რ ი დ ა მ თ ა ფ ლ ი ს დ ე ნ ა , რ ო მ ე ლ ს ა ც ქ ა რ თ ვ ე ლ ი „ზ რ დ ი ლ ი ბ ა ს “ ე ძ ა ხ ი ს — ე ს ე ნ ი ე რ თ ა დ შ ტ ი რ ე ბ ი ა რ ი ა ნ

დამპალი ყიზილბაშობისა“ (III, 1986, გვ. 409). სხვაგან ილია წერს: „ვერავინ იყადროს ან ერთს, ან მეორეს უსაბუთობა, პირმოთნეობა და ყიზილბაშობა შესწამოს“ (IX, 313,3). აკაკი თავის გმირს აოქმე-ვინებს: „უველაფრის ღირსი ვარ დღეს, როდესაც ჩემი ქართველუ-რი გულწრფელობა ყიზილბაშობაში გავივალე“ (III, 97,12). ი. გო-გებაშვილიც: „ორპირობა, ყიზილბაშობა, კუდის ქნევა აქეთაც და იქითაც არის დროს არ მიყადრნია“ (რჩ. I, 1910, 424,23).

სრულიად აშკარაა, რომ ყიზილბაშობა-ს მეცხრამეტე საუკუნე-ში პქონდა მკეთრად გამოხატული უარყოფითი სემანტიკა, რომე-ლიც ესადაგებოდა დამპყრობელი ერის ზენ-ხასიათს. ჩვენი სასიქა-დულო მამულიშვილების მიერ ხმარებული ეს სიტყვა დიდი და სა-სარგებლო შინაარსით იყო დატვირთული: ეისაც ეს სიტყვა იარღი-ყად მიეკერება, იგი თითქოს მოზიარე ხდება საძულველი დამპყრო-ბლის უწევებისა, პირმოთნეობისა, გაიძვერობისა, ორპირობისა.

ქეგლ-ს, სათანადო საილუსტრაციო მასალის უქონლობის გამო, ყიზილბაშობის ეს ნეგატიური მნიშვნელობა ვერ გაუთვალისწინებია. იგი მხოლოდ სიტყვის სპეციალურმა განხილვამ გამოავლინა.

პირფერობა, მაამებტური ხოტბა, მლიქვნელობა, ორპირობა, სამწუხაროდ, ჩვენი სახოგადოების ერთ ნაწილში დღესაც საკმაოდ შევიდრად არის ფეხმოკიდებული. ვფიქრობთ, არ იქნებოდა ურიგო, გაგეცოცხლებინა ეს ილიასეული სიტყვა და ზემოჩამოთვლილი ნე-გატიური თვისებების მქონე კაცის მიმართ გვეხმარა ეპითეტი ყი-ზილბაში, ხოლო მისი ქმედებისათვის გვეწოდებინა ყიზილბაშობა.